THE FLAVIANS' EASTERN POLICY AND KARTLI (IBERIA)
ფლავიუსების აღმოსავლური პოლიტიკა და ქართლი (იბერია)

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

Abstract. The reign of the Flavian dynasty (AD 69–96) constituted one of the most significant stages in the stabilization of the Roman Empire and the formation of a new political and legal order. The dynasty's founder, Titus Flavius Vespasianus (AD 69–79), assumed power after the chaos of the so-called *Year of the Four Emperors*, during which Nero's death had triggered civil wars and a crisis of authority (Levick, 1999:49–51). His rise was grounded in the support of the eastern legions and provincial communities, underscoring the fact that imperial legitimacy depended not only on the sanction of the Roman Senate but also on military force and alliances with provincial elites. Vespasian strengthened state finances through fiscal reforms, introduced strict financial discipline, and employed resources both to maintain the army and to undertake large-scale public building projects (e.g., the initiation of the Colosseum's construction). In doing so, he oriented imperial policy toward "public welfare" and the enhancement of Rome's prestige.

The reign of his successor, Titus (AD 79–81), was brief but symbolically significant. Following the suppression of the Judean revolt, the siege of Jerusalem, and his triumph, he was perceived as a victorious commander; as emperor, he pursued policies aimed at securing popular favor. During the eruption of Mount Vesuvius and the subsequent fire in Rome, Titus presented himself as a caring and responsive ruler, thereby further consolidating loyalty to the dynasty.

The final representative of the Flavian dynasty, Domitian (AD 81–96), developed the dynasty's legacy in a different direction. He aspired to an increasingly autocratic style of governance, emphasized the supremacy of the emperor, and often diminished the role of the Senate. Nevertheless, Domitian reinforced the state bureaucracy, expanded military infrastructure, and promoted the defense of the provinces.

The eastern policy of the Flavians sought to maintain Roman control over the provinces of Asia Minor and to ensure regional stability (Levick, 1999:74–78). Under Vespasian, particular emphasis was placed on concluding the Judean War (AD 66–70), through which Roman forces established dominant authority in Judaea with the destruction of the Jerusalem Temple. This military campaign was not only a political act of subjugation but also carried ritual and symbolic significance as a demonstration of imperial sovereignty.

At the same time, the Flavians actively cooperated with local elites in the East, aiming at the political and military integration of the provinces. Titus further developed this policy and conducted military operations in Syria and Egypt, thereby securing trade routes and promoting the economic stabilization of the provinces. Domitian, for his part, established stronger centralized control over the eastern provinces, reorganized legionary command, and encouraged provincial administration to operate in accordance with Roman law and institutional structures.

During the reign of the Flavian dynasty, Iberia (Kartli) functioned as one of the strategic kingdoms of the Caucasus, formally maintaining internal autonomy while being significantly dependent on the Roman Empire in political and dynastic matters. The Empire aimed to ensure stability in the East, particularly to balance Parthian influence, which required Iberian kings to adapt to Roman political demands, demonstrate loyalty, and participate in military and diplomatic affairs. At the same time, the Iberian monarchy retained a degree of internal order, allowing local rulers to preserve political authority and dynastic continuity.

Keywords: Roman history, emperor, Vespasian, Flavian dynasty, Judea, Eastern politics, Kartli (Iberia), ally.

დავით ჩოჩიშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, 1400, საქართველო
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

აბსტრაქტი. ფლავიუსების დინასტიის მმართველობა (ახ. წ. 69-96 წწ.) წარმოადგენდა რომის იმპერიის სტაბილიზაციისა და ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს. დინასტიის დამფუძნებელმა ტიტე ფლავიუს ვესპასიანემ (Titus Flavius Vespasianus) (69–79 წწ.) ძალაუფლება ხელში აიღო ე.წ. „ოთხი იმპერატორის წლის“ ქაოსის შემდეგ, როდესაც ნერონის გარდაცვალებამ სამოქალაქო ომები და ძალაუფლების კრიზისი წარმოშვა (Levik, 1999:49-51). მისი აღმასვლა ეფუძნებოდა აღმოსავლეთის ლეგიონებისა და პროვინციების მხარდაჭერას, რაც ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ იმპერატორის ლეგიტიმაცია არა მხოლოდ რომაული სენატის ნებართვაზე, არამედ სამხედრო ძალისა და პროვინციალურ ელიტებთან ალიანსზეც იყო დამოკიდებული. ვესპასიანემ ფისკალური რეფორმებით განამტკიცა სახელმწიფო სახსრები, დაამკვიდრა ფინანსური დისციპლინა და გამოიყენა რესურსები, როგორც სამხედრო ძალის შესანარჩუნებლად, ისე მასშტაბური საჯარო მშენებლობებისთვის (მაგ., კოლიზეუმის მშენებლობის დაწყება). ამით მან ორიენტაცია გააკეთა „სახალხო კეთილდღეობასა“ და იმპერიის პრესტიჟის მატებაზე.

მომდევნო იმპერატორის ტიტუსის (Titus Flavius Vespasianus) (79–81წწ.) მმართველობა უფრო ხანმოკლე იყო, თუმცა სიმბოლურად უფრო მნიშვნელოვანი. აჯანყებული იუდეის დამარცხების, იერუსალიმის ალყისა და ტრიუმფის შემდეგ იგი აღიქმებოდა, როგორც გამარჯვებული სარდალი, ხოლო იმპერატორობისას მისი პოლიტიკა მიმართული იყო ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისა და რომში გაჩენილი ხანძრის დროს ტიტუსმა გამოიჩინა მზრუნველი მმართველის სახე, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა დინასტიისადმი ერთგულება.

ფლავიუსების დინასტიის ბოლო წარმომადგენლის დომიციანეს (Titus Flavius Caesar Domitianus Augustus) (81–96წწ.) ეპოქამ კი დინასტიის მემკვიდრეობა სხვა მიმართულებით განავითარა. იგი ისწრაფოდა ავტორიტარული მართვისკენ, ხაზს უსვამდა იმპერატორის უზენაესობას და ხშირად ამცირებდა სენატის როლს. მიუხედავად ამისა, დომიციანემ გააძლიერა სახელმწიფო ბიუროკრატია, განავითარა სამხედრო ინფრასტრუქტურა და ხელი შეუწყო პროვინციების დაცვას.

ფლავიუსების დინასტიის აღმოსავლური პოლიტიკა მიზნად ისახავდა რომის იმპერიის მიერ აზიის მცირე პროვინციების კონტროლის შენარჩუნებას და რეგიონის სტაბილიზაციის უზრუნველყოფას (Levik, 1999:74-78). ვესპასიანეს მმართველობის პერიოდში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იუდეის ომის დასრულებაზე[1] (66–70 წწ.), რის შედეგადაც რომის არმიამ დომინანტური ძალაუფლება დაამყარა იუდეაში იერუსალიმის ტაძრის დანგრევით. ეს სამხედრო კამპანია წარმოადგენდა არა მხოლოდ გაბატონების პოლიტიკურ აქტს, არამედ სარიტუალო და სიმბოლურ მნიშვნელობასაც ატარებდა იმპერიის სუვერენიტეტის დემონსტრირებისთვის.

ამასთან, ფლავიუსები აქტიურად თანამშრომლობდნენ აღმოსავლეთში ადგილობრივ ელიტებთან, პროვინციების პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციის მიზნით. ტიტუსმა ეს პოლიტიკა კიდევ უფრო განავითარა და მოაწყო სამხედრო ოპერაციები სირიასა და ეგვიპტეში, რაც უზრუნველყოფდა სავაჭრო გზების დაცვას და პროვინციების ეკონომიკურ სტაბილიზაციას. დომიციანემ კი გაძლიერებული ცენტრალიზებული კონტროლი დაამყარა აღმოსავლეთის პროვინციებზე.

ფლავიუსების დინასტიის მმართველობის პერიოდში ქართლი, როგორც კავკასიის ერთ-ერთი სტრატეგიული სამეფო, ფორმალურად ინარჩუნებდა შიდა ავტონომიას, თუმცა პოლიტიკურ და დინასტიურ საკითხებში მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო რომის იმპერიაზე. იმპერიის მიზანი იყო აღმოსავლეთის სტაბილურობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით პართიის გავლენის ბალანსირების მიზნით, რის გამოც ქართლის მეფეები ვალდებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ რომაული პოლიტიკის მოთხოვნებს, დაემტკიცებინათ ერთგულება ჩართულნი ყოფილიყვნენ სამხედრო და დიპლომატიურ კონტაქტებში. ამავე დროს, ქართლის სამეფო ინარჩუნებდა გარკვეულ დამოუკიდებლობას შიდა ავტონომიის ფარგლებში, რაც საშუალებას აძლევდა ადგილობრივ მმართველებს, შეენარჩუნებინათ პოლიტიკური გავლენა და საშინაო საქმეების სრული დამოუკიდებლობა.

საძიებო სიტყვები: რომის ისტორია, იმპერატორი, ვესპასიანე, ფლავიუსების დინასტია, იუდეა, აღმოსავლური პოლიტიკა, ქართლი (იბერია), მოკავშირე.

შესავალი: ფლავიუსების დინასტიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომის აღმოსავლეთ პროვინციებში, განსაკუთრებით კი მცირე აზიასა და იუდეაში იმპერიის გავლენის განმტკიცებაში. მრავალრიცხოვანი სამხედრო კამპანიები და

[1] იუდეის ომი (66–73 წწ.) იყო მასშტაბური პროვინციული აჯანყება რომის იმპერიაში, რომელიც გამოწვეული იყო ფისკალური წნეხითა და ადმინისტრაციული ძალადობით. მისი დასასრული – იერუსალიმის ალყა და მეორე ტაძრის დანგრევა (70 წ.) – წარმოადგენდა რომაული სამხედრო ძალის დემონსტრირებას აღმოსავლეთში და ფლავიუსების დინასტიის პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფუძველს.

ადმინისტრაციული რეფორმები, რომლებსაც დინასტია ახორციელებდა, აძლიერებდა იმპერიის ხელისუფლებას, ხოლო ადგილობრივი ელიტებისა და კლიენტური სამეფოების ჩართულობა ხაზს უსვამდა იმპერიის მოქნილ პოლიტიკას ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცის შენარჩუნების პროცესში. ძველი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამეფოების (კოლხეთი და იბერია) კონტექსტში ეს მოვლენები იძლევა საშუალებას, შევაფასოთ რომის გავლენა სამხრეთ კავკასიაში. ფლავიუსების პოლიტიკა ხაზს უსვამს რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ადგილობრივი პოლიტიკის დამოკიდებულებას იმპერიულ ძალაუფლებაზე. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს ფლავიუსების აღმოსავლური პოლიტიკა ქართულ სამეფოებთან, კონკრეტულად ქართლთან (იბერიასთან) მიმართებაში.

მეთოდები. კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: წყაროების ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, კონტენტ-ანალიზი.

შედეგები. ფლავიუსების დინასტიის აღმოსავლური პოლიტიკა, განსაკუთრებით იუდეის ომის (66–70 წწ.) შემდეგ, წარმოადგენდა რომის სუვერენიტეტის განმტკიცების ძირითად ინსტრუმენტს აღმოსავლეთში. ამავე დროს, რეგიონში რომის ადმინისტრაციის აღდგენა და ლეგიტიმაციის დამყარება ფლავიუსების დინასტიას შესაძლებლობას აძლევდა ადგილობრივ ელიტასთან თანამშრომლობის გზით შეენარჩუნებინა სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა. საქართველოს ტერიტორიაზე რომაული გავლენა ფლავიუსების პერიოდში ძირითადად სამხედრო და კულტურული კონტაქტებით ვლინდებოდა, რამაც დიდი როლი შეასრულა შემდეგში საქართველოს ადგილობრივი სამოქალაქო და სამხედრო ინსტიტუტების ფორმირების პროცესში.

ამ მონაცემების ერთობლივი ანალიზი აჩვენებს, რომ ფლავიუსების დინასტიის პოლიტიკა აღმოსავლეთში არა მხოლოდ სამხედრო გამარჯვებებით და ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებით, არამედ სოციალური ინტეგრაციისა და ადგილობრივი ელიტის ჩართულობითაც ხასიათდებოდა. ეს სტრატეგია უზრუნველყოფდა რომის სუვერენიტეტის განმტკიცებას და პატარა სახელმწიფოების სახით იმპერიის საზღვრებთან ბუფერული ზონების შექმნით უზრუნველყოფდა იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოებას.

მსჯელობა. ახ. წ. I საუკუნეში რომის საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბდა, როგორც იმპერიული უსაფრთხოების, აღმოსავლურ ფრონტზე სტრატეგიული ბალანსის და პროვინციების ინტეგრაციის სისტემური ურთიერთქმედება. იულიუს-კლავდიუსებისა და ფლავიუსების მმართველობის ეპოქაში საგარეო მიმართულებები ემყარებოდა საზღვრების სტაბილიზაციას და მორჩილი მოკავშირე სამეფოების ქსელის შენარჩუნებას. ძველ ქართულ სახელმწიფოებს ქართლი (იბერია) და ეგრისი (კოლხეთი) მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რომის სახელმწიფოსთან. ამ ურთიერთობის შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მან უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ისტორიაზე, არამედ მათ სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაზე და კულტურაზე. მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა რომსა და საქართველოს შორის თავის ასახვას პოულობს ქართულ წყაროებშიაც (ლეონტი მროველი, „მოქცევაი ქართლისაი" და სხვ.), მაგრამ

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ რომაულ ისტორიოგრაფიას: პლუტარქე, აპიანე, სტრაბონი, ტაციტუსი, ტიტე ლივიუსი, არიანე და სხვ. ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობას გადმოგვცემენ ძველ ქართულ სახელმწიფოთა და რომთან მათი ურთიერთობის შესახებ (დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, 1966: 24)

იულიუს-კლავდიუსების დინასტიის მომდევნო, ფლავიუსების დინასტიის დამაარსებელი ვესპასიანე დაიბადა შედარებით დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახში. გვარი მიეკუთვნებოდა იმ ფენას, ,,რომლებიც არც წარჩინებული წარმომავლობისა იყო და არც რაიმე სახის წინაპართა გამოსახულებები ჰქონდა“[2] (Suet., D. Vespasianus, 1, 1). მისი პაპა-ტიტუს ფლავიუს პეტრონი[3] ქალაქ რეატეს (საბინური ქალაქი) მოქალაქე იყო. იგი სამოქალაქო ომში (ძვ. წ. 49-46 წწ) პომპეუსის არმიის ცენტურიონი იყო, რომელმაც ფარსალოსის ბრძოლაში[4] მიატოვა არმია და სახლში დაბრუნდა. მოგვიანებით, იგი დეზერტირობისთვის სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. ,,მისი შვილი მეტსახელად საბინუსი, სამხედრო სამსახურში აღარ მსახურობდა, არამედ აზიაში ... ბაჟს კრებდა... შემდეგ მევახშეობას ეწეოდა ჰელვეტებთან და იქვე დაასრულა სიცოცხლე. დარჩა ცოლი, ვესპასია პოლა, და მისგან შეძენილი ორი შვილი“ (Suet., D. Vespasianus, 1, 2). სვეტონიუსის გადმოცემით, ვესპასიანეს დედა წარმოშობით უფრო კეთილშობილი ნურსიის გვარიდან იყო. მამამისი სამგზის სამხედრო ტრიბუნი იყო, ძმა კი პრეტორის ხარისხის სენატორი. თვითონ ვესპასიანე დაიბადა რეატეს მახლობლად სოფელ ფალაკრინეში ახ. წ. 9 წლის 17 ნოემბერს. ვესპასიანე ოფიციალურად დაქორწინდა ფლავია დომიცილაზე, რომლისგანაც შეეძინა სამი შვილი-ტიტუსი, დომიციანე და დომიცილა[5]. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან ცოლად შეირთო გააზატებული მდივანი ქალი კენისი, რომელიც იმპერატორობის დროსაც კი მის ოფიციალურ ცოლად ითვლებოდა.

ვესპასიანეს სამხედრო კარიერა დაიწყო მცირე ლეგიონების მეთაურის პოზიციიდან თრაკიაში, სადაც იგი ,,ჯარისკაცთა ტრიბუნად მსახურობდა, როგორც კვესტორს, წილად

[2] ძველ რომში ატრიუმში წინაპართა გამოსახულებების დადგმის ნება გარკვეულ სოციალურ პრივილეგიაზე მეტყველებდა და მხოლოდ პატრიციებს ჰქონდა. მოგვიანებით ეს უფლება მიეცათ სახელმწიფო თანამდებობის პირთა შთამომავლებსაც.

[3] ძველ რომში მოქალაქის სრული სახელწოდება (tria nomina) შედგებოდა სამი კომპონენტისგან: praenomen, nomen და cognomen. Praenomen წარმოადგენდა პირად სახელს და გამოიყენებოდა ოჯახურ და ახლო სოციალურ წრეში. Nomen აღნიშნავდა პიროვნების კლანის (gens) წევრობას, რაც მიუთითებდა უფრო ფართო სოციალური იდენტობაზე. Cognomen წარმოადგენდა ოჯახის შტოს ან ინდივიდუალურ ნიკნეიმს, ხშირად განასხვავებდა სხვადასხვა შტოს ერთსა და იმავე კლანიდან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო დამატებითი სახელი (agnomen), რომელიც ნიშნავდა სამხედრო წარმატებას ან სხვა განსაკუთრებულ დამსახურებას. მაგალითად, იმპერატორი ვესპასიანე სრულად მოიხსენიებოდა როგორც Titus Flavius Vespasianus, რაც გამოხატავდა პიროვნების პირად, კლანურ და ოჯახურ იდენტობას.

[4] ფარსალოს ბრძოლა (ძვ. წ. 48 წ. 9 აგვისტო) წარმოადგენდა იულიუს კეისრისა და პომპეუსის ძალთა მთავარ კონფრონტაციას სამოქალაქო ომის დროს საბერძნეთში. კეისრის არმიის დისციპლინამ, მანევრირების უნარმა და სტრატეგიამ განაპირობა პომპეუსის არმიის დამარცხება.

[5] დომიცილას შეეძინა ქალიშვილი ფლავია დომიცილა, რომელიც შემდეგ ქრისტიანთა მფარველი და წმინდანი გახდა (Dio Cassius, 67.14, Eusebius, 3.18)

ხვდა კრეტისა და კირენეს პროვინციების გამგებლობა. გახდა ედილობის, შემდეგ კი პრეტორობის კანდიდატი“ (Suet., D. Vespasianus, 2, 3). მოგვიანებით იგი სირიაში განაგებდა პროვინციების დაცვას და მეთაურობდა სამხედრო ოპერაციებს. ასევე მსახურობდა ბრიტანეთში, სადაც დიდი სამხედრო გამოცდილება შეიძინა. ბრიტანეთში მოპოვებული გამარჯვებების გამო მიიღო ტრიუმფალური შესამკობლები[6], ქურუმობა და შემდეგ კი კონსულობა. 66 წელს, იუდეის აჯანყების დაწყებისას, სენატმა იგი სირიის ლეგიონების სარდლად დანიშნა, რაც მას საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას გამოეჩინა სტრატეგიული უნარები. მას შემდეგ, რაც იუდეაში რომაულმა სამხედრო ძალამ მარცხი განიცადა, ,,ამბოხების ჩასახშობად საჭირო გახდა უფრო დიდი ჯარი და გაბედული მხედართმთავარი, ვისთვისაც ბოლოს და ბოლოს, საიმედო იქნებოდა ასეთი საქმიანობის მინდობა, არჩეული იქნა ვესპასიანუსი, როგორც ყველაზე ძლიერი, როგორც გულმოდგინებაში გამოცდილი და არანაირად საშიში, გვარისა და სახელის უბრალოების გამო“ (Suet., D. Vespasianus, 4, 4). ვესპასიანე ამბოხის ჩასახშობად აირჩიეს, როგორც სამხედრო გამოცდილებისა და დისციპლინის გამო, ასევე პოლიტიკური „უვნებლობით“, რაც მას სენატორული ელიტის თვალში ნაკლებად საშიშ ფიგურად წარმოაჩენდა. სვეტონიუსის აზრით, მისი დაბალი სოციალური წარმომავლობა არა დამაბრკოლებელი, არამედ პირიქით, სასურველი გარემოება აღმოჩნდა იმპერიული ხელისუფლებისთვის, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა ზედმეტად ამბიციური არისტოკრატების გაძლიერება. ამგვარად, ვესპასიანეს აღმასვლა განპირობებული იყო არა მხოლოდ სამხედრო ნიჭით, არამედ იმ პოლიტიკურ რეალობითაც, სადაც დაბალი სოციალური წარმომავლობა ქმნიდა უფრო საიმედო და მორჩილ მხედართმთავარს იმპერიის სტაბილურობისთვის. იგი იყო ,,Homo novus”, რომლის პოლიტიკური ამბიციები ვერ უნდა გასცდენოდა სამხედრო იერარქიას. ,,ვესპასიანეს თავდაპირველი ოპერაციები ჩრდილოეთ იუდეაში ალყების ტაქტიკასა და ლეგიონების მობილიზაციას მოიცავდა, რაც უზრუნველყოფდა შემდგომ წარმატებულ კამპანიებს და საფუძველს უქმნიდა ფლავიუსების დინასტიას პოლიტიკური ლეგიტიმაციის დამყარებისთვის“ (Goodman, 2007:102–104). მისი მთავარი მიზანი იყო აჯანყების ჩახშობა და რომის კონტროლის აღდგენა პროვინციაში. ვესპასიანემ მიმართა დიდი ქალაქების საალყო ტაქტიკას, დაიკავა ისინი და უზრუნველყო აქ რომაული ადმინისტრაციული ხელისუფლების ხელახლა დამყარება (Goodman, 2007: 103–105). ვესპასიანეს კამპანია წარმატებით გაგრძელდა ტიტუსის ხელმძღვანელობით იერუსალიმის ალყისა და მეორე ტაძრის დანგრევით 70 წელს, რაც წარმოადგენდა სამხედრო და პოლიტიკური ლეგიტიმაციის დასტურს ფლავიუსების დინასტიისთვის (Goodman, 2007:110–112). ამ მოვლენებმა ხაზგასმით აჩვენა რომის სუვერენიტეტი აღმოსავლეთში და უზრუნველყო ფლავიუსების დინასტიის პოლიტიკური აღიარება (Евреи в Римской Империи в эпоху Талмуда, 1999:66-68).

[6] ლათ. ornamenta triumphalia- წარმოადგენდა რომაულ პრაქტიკას, როდესაც გამარჯვებული სარდალი ან მაღალი რანგის პირი სენატის მიერ ჯილდოდ იღებდა ტრიუმფის ატრიბუტების ტარების უფლებას. ეს იყო სიმბოლური ჯილდო-გამარჯვებულს ოფიციალურად არ მიჰყავდა არმია ტრიუმფალურ მარშში რომის ქუჩებში, მაგრამ მაინც ეძლეოდა სამხედრო დიდების აღნიშვნისა და საზოგადოებაში სტატუსის გამყარების საშუალება.

ფლავიუსების მმართველობის პერიოდში რომის იმპერია აქტიურად ცდილობდა აღმოსავლეთით საკუთარი გავლენის განმტკიცებას. ვესპასიანესა და ტიტუსის მმართველობისას განხორციელდა მნიშვნელოვანი სამხედრო კამპანიები. დომიციანეს მმართველობისას რომი აგრძელებდა აქტიურ აღმოსავლურ პოლიტიკას, თუმცა მისი მმართველობა უფრო მეტად შინაგან საკითხებზე იყო ორიენტირებული. რომს თავისი ინტერესი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში, რაც განპირობებული იყო მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით-რეგიონი წარმოადგენდა ბუნებრივ დერეფანს რომის აღმოსავლეთიდან მომავალ პოტენციურ საფრთხეებთან, განსაკუთრებით პართიასთან დაპირისპირებაში. ქართლისა და სომხეთის კონტროლი საშუალებას აძლევდა რომს, დაებალანსებინა პართიული გავლენა, უზრუნველეყო კავკასიის სამხედრო გზების უსაფრთხოება და შეენარჩუნებინა გავლენა შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის საკვანძო პუნქტებში.

ფლავიუსების აქტიური აღმოსავლური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითი დასტურდება ე.წ. ,,ვესპასიანეს წარწერაში", რომელიც მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. 1867 წლის მაისში მცხეთიდან დაახლოებით შვიდ კოლომეტრში, მდინარე მტკვრის კლდოვან ნაპირზე გზის მშენებლობის დროს.[7] წარწერის ტექსტი ბევრმა მეცნიერმა და მკვლევარმა გამოიყენა თავის ნაშრომებში (ბარტოლომეი, სტრუვე, მომზენი, პომიალოვსკი, ჯავახიშვილი, ყაუხჩიშვილი და სხვა), იგი აგრეთვე გამოქვეყნდა სხვადასხვა ჟურნალებსა და ენციკლოპედიებში. წარწერას ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა გ. წერეთელმა (წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბილისი, 1958). ,,წარწერა მოთავსებულია ქვაზე, რომლის ზომა 123X115 სმ-ია. ქვას გარშემო შემოვლებული აქვს სამწახნაგოვანი ჩარჩო, როგორც ეს იმდროინდელი ბერძნული წარწერებისთვის იყო დამახასიათებელი. ქვის ზედა, მარცხენა ნაწილი მთლიანად მომტვრეულია, ხოლო მარჯვენა ნაწილი საგრძნობლადაა დაზიანებული... წარწერაში სულ არის 17 სტრიქონი" (წერეთელი, 1958:8). ,,იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა, დიდმა პონტიფექსმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა.[8] მამამ მამულისამ, ცენზორმა და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა და ხუთჯერ დეზიგნირებულმა ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა და მეოთხედ დეზიგნირებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს [9], მეფე

[7] წარწერის აღმოჩენის დროს გზის სამუშაოებში ჩართული იყვნენ ახალციხელი ბერძნები, რომლებიც განცვიფრდნენ, ვინაიდან დაინახეს, რომ წარწერა მათ მშობლიურ ენაზე იყო შესრულებული. ამ აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს ცნობილ ნუმიზმატსა და მკვლევარს ი. ბარტოლომეის, რომელმაც წარწერიანი ქვა გადმოიტანა თბილისში, სადაც ამჟამად ინახება ეროვნულ მუზეუმში

[8] სპეციალურად დანიშნული პირი. გამოიყენება მაშინ, როდესაც ვინმეს ოფიციალურად ანიჭებენ სტატუსს

[9] მიტრიდატე II იბერიელი-ქართლის მეფე, რომელიც განიხილებოდა რომის მოკავშირედ. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში ვესპასიანემ უზრუნველყო ქართლის სამხედრო-სამოქალაქო მხარდაჭერა, მათ შორის ქალაქის კედლების გამაგრება, რაც ნაწილობრივ ემსახურებოდა რომის აღმოსავლეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვას. ამავე დროს, მიტრიდატეს მმართველობა

ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს და ხალხს კედლები განუმტკიცეს (წერეთელი, 1958:14). ოდნავ განსხვავებული ტრანსკრიპციით კითხულობს აღნიშნულ წარწერას თ. ყაუხჩიშვილი, თუმცა წარწერის აზრი იგივეა. ყაუხჩიშვილის აზრით ,,წარწერაში მოხსენიებული რომაელი იმპერატორების თანამდებობათა დაწვრილებით აღნუსხვიდან, წარწერა უნდა დათარიღდეს 75 წლის 1 ივლისის[10] შემდეგი პერიოდით. წარწერა უთუოდ გალავანში იყო ჩასმული, ზღუდის გამმაგრებლის უკვდავსაყოფად ადგილზე ამოჭრილი“ (ყაუხჩიშვილი, 2000:252). ზოგადად ვესპასიანეს პერიოდის წარწერები იმპერიის საზღვრებიდან უკიდურეს აღმოსავლეთის პერიფერიაში უაღრესად საინტერესო ფაქტია.[11] აღნიშნული წარწერის შინაარსიდან გამომდინარე ჩანს, რომ ,,მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო მშენებლობაში ეხმარება და თავდაცვით კედლებს უმაგრებს, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეულ თანხებს იხდის. ე.წ. ვესპასიანეს წარწერა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთინტერესს, რომელიც რომს და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა ახ.წ. I ს-ში, პართიის სახელმწიფოს და მისი მომხრე არმენიის სამეფოს საპირისპიროდ. წარწერა, როგორც ჩანს, არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობაში, შესაძლოა კარიბჭეში იყო ჩაშენებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო“ (გამყრელიძე, თოდუა, 2006:60-61).

რომის იმპერია თავისი უკიდეგანო საზღვრების დაცვას სხვადასხვა ხერხით ცდილობდა. I-II საუკუნეებში რომის იმპერია ავგუსტუსის მიერ შექმნილი პრინციპატის პირობებში წლობით განმტკიცებულ პოლიტიკურ სტაბილურობას ეყრდნობოდა, რასაც „პაქს რომანა“ (Pax Romana)- იმპერიის მასშტაბით დამყარებული შედარებითი მშვიდობა ეწოდა. მშვიდობა მიღწეული იყო ძლიერი ცენტრალური მართვით, რეგულარული არმიის რეფორმით და პროვინციებში ადმინისტრაციული კონტროლის გამკაცრებით. რაც შეეხება აღმოსავლეთის საზღვრებს, განსაკუთრებით სირიისა და მესოპოტამიის მიმართულებით, რომი ცდილობდა უსაფრთხოების შენარჩუნებას ფორტიფიკაციების გაძლიერებით, ამ ადგილებში ლეგიონების მუდმივი განთავსებით და პართიის სახელმწიფოსთან კოორდინირებული დიპლომატიური ურთიერთობებით, რათა თავი აეცილებინა ფართომასშტაბიანი კონფლიქტებისგან და შეენარჩუნებინა სტრატეგიული ბალანსი რეგიონში“ (ფიფია, ობახიძე, დუნდუა, 2023:227). რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას და კერძოდ, ქართლის სამეფოს, რომი საზღვრების დაცვას ძირითადად დამოუკიდებელ, მაგრამ რომისადმი მორჩილ ან მეგობრულ ადგილობრივ სამეფოებზე დაყრდნობით

შენარჩუნებული იყო ადგილობრივი ავტონომიის ფორმებით, რაც აძლევდა ქართლის მეფეებს საშუალებას შეენარჩუნებინათ დინასტიური და პოლიტიკურ სტაბილურობა.

[10] 1938 წელს მცხეთის მიდამოებში, ზაჰესთან აღმოჩნდა ცამეტი მოზრდილი ქვა, რომლებიც ერთი მთლიანი კედლის ნაწილს წარმოადგენს. მათზე დატანებული იყო ბერძნული წარწერები. თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ქვები იყო იმ კედლის ნაწილი, რომელიც ვესპასიანემ იბერებს გაუმაგრა (ყაუხჩიშვილი, 2000:252).

[11]„პირველი ივლისის შემდეგ აღმოსავლეთის მთელი ცოდნა-გამოცდილება და რესურსები ვესპასიანეს და მის მხარდამჭერებს ხელთ ჰქონდათ.“(Levick, 1999:77).

ცდილობდა. მათთვის იმპერიას არ ენანებოდა ტიტულები და სახვადასხვა საჩუქრები, რომლებიც განაპირობებდა მათი რომის პოლიტიკისადმი ერთგულებას. ქართლი ფუნქციონირებდა როგორც სასაზღვრო ბუფერული სახელმწიფო, რომელიც რომს პართიის შემოტევებისგან იცავდა. ,,რომი საჭიროების შემთხვევაში გზავნიდა ლეგიონებს, სამხედრო დელეგაციებსა და ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო ადგილობრივი მეფეები ინიშნებოდნენ რომის იმპერატორის მხარდაჭერით, რაც რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურებოდა“ (ფიფია, ობახიძე, დუნდუა, 2023:228).

ქართლის სამეფოს თავდაცვისუნარიანობა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ემყარებოდა როგორც მთიანი რელიეფის ბუნებრივ ბარიერებს, ასევე ადგილობრივი პოლიტიკური სტრუქტურებისა და სამხედრო პრაქტიკის სპეციფიკას. ქართლის მეფეები ახორციელებდნენ რეგიონის ცენტრალიზებულ, თუმცა არაერთგვაროვან სამხედრო კონტროლს, რომელიც ეყრდნობოდა სამეფო რაზმებს, რეგიონალურ დიდგვაროვანთა სამხედრო შენაერთებსა და ტომობრივ არისტოკრატიას. მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა დიდ კავკასიურ მთებს და მათ გადასასვლელ გზებს, განსაკუთრებით დარიალის ხეობას, რომელსაც ქართლი ხშირად იყენებდა როგორც ბუნებრივ გამაგრებას, რომლითაც ზღუდავდა ჩრდილოეთიდან მომავალ ალანურ-სარმატულ ექსპანსიას.

მეფეს ემორჩილებოდა ,,სპასპეტი“, რომლის ხელმძღვანელობითაც ფორმირდებოდა სამეფო ჯარი. სამხედრო ძალა ძირითადად შედგებოდა მძიმე და მსუბუქი ცხენოსნებისგან, რომელთა ტაქტიკა შემუშავებული იყო, როგორც მთიან, ისე ბარის პირობებში სწრაფი გადაადგილებისა და მოულოდნელი იერიშებისათვის. ქართლის არმიის შეიარაღებაზე გავლენას ახდენდა როგორც რომის, ისე პართიის სამხედრო სტრუქტურები, რაც განპირობებული იყო მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით -ორ იმპერიას შორის მოქცეულ სამეფოს მუდმივად უწევდა დიპლომატიური ბალანსის დაცვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის სამხედრო მხარდაჭერის მოზიდვა ან წინააღმდეგობის გაწევა.

ქართლის თავდაცვისუნარიანობას ზრდიდა ასევე ციხესიმაგრეების ქსელი, რომლებიც მდებარეობდა მთიან გზებზე, სამეფო ცენტრთან მიმავალი სტრატეგიული მარშრუტების გასწვრივ და სასაზღვრო ზონებში. ამ ,,თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილებზე იყო განლაგებული-მაგალითად, გამაგრებული ქალაქები მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიმნა და სხვა. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (არმაზციხე) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემები იყო აგებული.... ციხესიმაგრეებში და ციხე-ქალაქებში სპეციალური მცველ-მეციხოვნეთა გარნიზონები იდგა: (გამყრელიძე, თოდუა, 2006:55).

საკმაოდ ძლიერ საომარ ძალას წარმოადგენდა ქართლის სამეფოს არმია, რომელიც შედგებოდა ქვეითი და ცხენოსანი ჯარის ნაწილებისაგან. სამეფო ჯარი იყო მძიმედ შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, მუზარადებით, ფარებით... ქვეითი ჯარი შედარებით მსუბუქად იყო შეიარაღებული და მათ ძირითად შეიარაღებას წარმოადგენდა

შუბი, შურდული, მშვილდ-ისარი და ხის ფარი. იბერიის მოხერხებული სამხედრო სტრატეგიული მდებარეობის, სავაჭრო გზებისა და სხვა, აგრეთვე საბრძოლო ჯარის შესახებ ცნობებს ვხვდებით ანტიკურ მწერლებთან და ,,ქართლის ცხოვრებაში“ (Strabo.XI, III, 3, XI, IV; Apiane, 103; Plutar, Lukull, 31; ქართლის ცხოვრება, 1955:24-25).

სწორედ ამ ფაქტორების გამო ქართლი და ეგრისი (კოლხეთი) ყოველთვის შედიოდა რომის იმპერიის ინტერესის სფეროში. 57 წელს რომაელებმა დასავლეთიდან კაპადოკია-არმენიის საზღვარზე მე-12 და მე-15 ლეგიონები გადმოისროლეს, ააგეს რამდენიმე სტრატეგიული სამხედრო ნაგებობაც, რათა გაემაგრებინათ იმპერიის ეს საზღვარი. 60-იანი წლებისთვის კი რომაელებმა დაიმორჩილეს არმენია და იბერია კი რომის ვასალ-მოკავშირედ იქცა (Tacit, Anal. XIV, 23.25).

ქართლის სამეფოს რომისადმი ურთიერთობის გაუმჯობესების სწრაფვას ისიც განაპირობებდა, რომ რომსა და სომხეთს შორის ურთიერთობები პირველი საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ დათბა. სომხეთის მეფის ტირიდატ I (63-8-წწ.) მმართველობის დროს სომხეთი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა რომთანაც და პართიასთანაც. ეს ამწვავებდა ურთიერთობას ქართლსა და სომხეთს შორის, რისი ძირითადი მიზეზიც სამხრეთი ოლქების გამო განუწყვეტელი დავა იყო. ქართლის სამეფო ამ ბრძოლებში ხშირად იყენებდა ჩრდილოელ მეზობლებთან-ალანებთან კავშირს, რომლებიც სარგებლობდნენ კავკასიონის გადმოსასვლელებით რომის, პართიისა და სომხეთის სამეფოების დასალაშქრად. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო მათი შემოსევა 70-იან წლებში, როდესაც ალანებმა ააოხრეს სომხეთის ოლქები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები,1970:517-518). [12] ,,ალანთა ლაშქრობის შედეგი უნდა ყოფილიყო იბერებისა და მათი მოკავშირეების გალაშქრება სოხეთში 70-იან წლებში, რაც იბერების გამარჯვებით დასრულდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:520). ბუნებრივია, მეზობლებთან სამხედრო დავის მოსაგვარებლად ქართლი ცდილობდა რომის კეთილგანწყობის მოპოვებას. ალანებთან კავშირი და მათი გამოყენება მეზობლების დასარბევად რომისთვისაც უნდა ყოფილიყო ცნობილი, როგორც პოტენციური საფრთხე, რომელსაც იბერია გამოიყენებდა საკუთარი მიზნების მისაღწევად.

ქართლის სამეფოს და მისი მოკავშირეების სომხეთში[13] ლაშქრობა უნდა მომხდარიყო პირველი საუკუნის 70-იან წლებში. არმაზისხევში აღმოჩენილი არამეული წარწერა, სადაც იხსენიება პიტიახში შარაგასი ზევახის ძე, სწორედ ამ დროით თარიღდება. აქ მოხსენიებულია ,,მითრიდატე, მეფე დიდი, ძე ფარსმანისა, დიდი მეფისა“. აქვეა საუბარი ქართლის სამეფოს მიერ სომხეთში მიღწეული წარმატებების შესახებ. ,,ყველაფერი ეს კარგად ეგუება სწორედ 70-იან წლებში იბერ-ალანთა სომხეთში

[12] ალანთა ლაშქრობა სომხეთში გადმოცემულია როგორც სომხურ, ასევე ქართულ წყაროებში. მოვსეს ხორენაცი პირდაპირ მიუთითებს ამ ლაშქრობაში იბერების მონაწილეობაზე და აღნიშნავს, რომ ალანები მოედვნენ სომხეთს, შეიერთეს მთიელები და იბერიის თითქმის ნახევარი მიიმხრეს. იგივე ფაქტს ადასტურებს ,,ქართლის ცხოვრება“ და ლაშქრობის ინიციატორებად ქართველი მეფეები გამოჰყავს. აქედან ჩანს, რომ იბერები საკუთარ სტრატეგიულ მიზანს-სომხეთის პოლიტიკურ დასუსტებასა და რეგიონში ძალთა ბალანსის იბერიის სასარგებლოდ შეცვლაში ალანთა სამხედრო პოტენციალთან კოორდინაციაში ხედავდნენ

[13] ქართველებისა და სომხების სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობისათვის საუკუნოვან ქიშპობას ეხება ა. აბდალაძე ნაშრომში: ,,ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“

ლაშქრობების ხანას. ამ ლაშქრობებმა, რომლებიც...იბერთა გამარჯვებით დამთავრდა, უეჭველია დიდად განამტკიცა იბერიისა და მისი მმართველის მითრიდატეს ავტორიტეტი... რომმა თავის მხრივ ნაბიჯები გადადგა იბერიასთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:520).

როგორც უკვე აღინიშნა, ფლავიუსების დინასტიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება განსაკუთრებით ვესპასიანეს მმართველობის დროიდან იწყება. ნერონის მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა იმპერიის საზღვრებთან ბუფერული სახელმწიფოების არსებობის ნაცვლად ეს ქვეყნები იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანა, რადიკალურად შეიცვალა მისი მომდევნო მმართველების დროს. ,,70-იან წლებში ვესპასიანემ გარნიზონები სირია-პალესტინის ხაზზე განალაგა. ლეგიონერთა შენაერთები ეგვიპტესა და არაბეთში ჩააყენა. მის დროსვე ციხესიმაგრეები აიგო ქალაქებში-პალმირა, ბოსტრა და ჰერასი... განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპადოკიასა და მცირე არმენიაში სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებასაც'' (გამყრელიძე გ., თოდუა თ., 2006:60-61). ამავე დროს რომის ინტერესს წარმოადგენდა იბერიის, სომხეთის და ზოგადად სამხრეთ კავკასიის კონტროლი და გაეფართოვებინათ გავლენა აზიაში. ამას რომი აგვარებდა არა მხოლოდ სამხედრო ექსპანსიით ან ძალით, არამედ ცდილობდა შეექმნა დუალისტური ადმინისტრაცია რომაული და ადგილობრივი ელიტის შემადგენლობით (Мэри Бирд, 2021:503).

ტიტუს ფლავიუსის [14] (79–81წწ.) მმართველობის პერიოდში ქართლისა და რომის იმპერიის ურთიერთობა კვლავ აღინიშნებოდა, როგორც პოლიტიკური ვასალიტეტით შეფუთული, მაგრამ რეალურად მოქნილი და პრაგმატული კავშირი. ქართლი, როგორც აღმოსავლეთის საზღვრისპირა სამეფო, ფუნქციონირებდა რომის ინტერესების ორბიტაში და აღიარებდა იმპერიის სუზერენიტეტს, რაც გამოიხატებოდა დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნებითა და რომის მხარდაჭერით სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციით. თავის მხრივ, რომის იმპერია ენდობოდა ქართლის პოლიტიკურ სტაბილურობასა და სამხედრო ერთგულებას კავკასიის სტრატეგიული უსაფრთხოებისათვის, განსაკუთრებით-პართიის მიმართ ბალანსის შესანარჩუნებლად. შესაბამისად, ურთიერთობა ეფუძნებოდა ორმხრივ სარგებელს: ქართლი ინარჩუნებდა შიდა ავტონომიას, ხოლო რომი – ძალაუფლებას რეგიონში.

დომიციანეს (81–96წწ.) მმართველობის დროს იმპერიული ხელისუფლება მკვეთრად გაიზარდა, რამაც რესპუბლიკური ინსტიტუტები მნიშვნელოვნად დაასუსტა. დომიციანემ გააძლიერა ცენტრალური ადმინისტრაცია, განახორციელა ფინანსური და სამხედრო რეფორმები, გაამკაცრა ლეგიონებში დისციპლინა და შეზღუდა რესპუბლიკური მაგისტრატურების გავლენა. ამ პროცესს თან ახლდა პოლიტიკური რეპრესიები- კერძოდ, დამნაშავედ მიჩნეული სენატორებისა და ერუდიტი წრეების

[14] ისტორიული ტრადიცია ხანმოკლე მმართველობის მიუხედავად, ტიტუსს განიხილავს, როგორც „კეთილგანწყობილ ავტოკრატს“, რომლის მმართველობამ შექმნა პრეცედენტი ხელისუფლების ისეთი ფორმისათვის, სადაც ძალაუფლება ფუნქციონირებდა არა რეპრესიის, არამედ პოლიტიკური თავშეკავებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრიზმაში. სვეტონიუსის ცნობით, მისი უეცარი გარდაცვალება ,,...კაცობრიობისთვის უფრო დიდ დანაკარგს წარმოადგენდა, ვიდრე მისთვის“((Suet., Titus, 10).

წინააღმდეგ, რამაც მის მმართველობას ტირანიის ხასიათი მიანიჭა. მიუხედავად ამისა, დომიციანეს ეპოქა ეკონომიკურად სტაბილური და ინფრასტრუქტურულად პროდუქტიული იყო.

დომიციანეს მმართველობის პერიოდშიც ქართლი ფუნქციონირებდა, როგორც აღმოსავლეთის საზღვრის სტრატეგიული სამეფო, რომლის სტატუსიც განისაზღვრებოდა იმპერიის მიერ სომხეთსა და პართიასთან მიმართებით განხორციელებული ბალანსირების პოლიტიკით. ამ ეპოქაში რომის მიზანი იყო უზრუნველეყო ჩრდილოეთი მესოპოტამიისა და კავკასიის საკომუნიკაციო ხაზების უსაფრთხოება. ქართლიც სწორედ ამ ჩარჩოში განიხილებოდა: ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია დიდწილად დამოკიდებული იყო იმპერიის მიერ არჩეულ დინასტიურ პრეტენდენტზე, ხოლო სამეფოს პასუხისმგებლობა მოიცავდა სამხედრო გზების დაცვასა და იმპერიის პოლიტიკის სტაბილიზებაში მონაწილეობას. შესაბამისად, დომიციანეს ეპოქაში ქართლი წარმოადგენდა ფორმალურად ავტონომიურ, მაგრამ ფაქტობრივად რომის აღმოსავლური პოლიტიკისადმი ინტეგრირებულ ერთეულს, რომლის შიდა პოლიტიკური ვითარებაც ემორჩილებოდა იმპერიის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

მოვსეს ხორენაცი წერს, რომ დომიციანეს მმართველობის პერიოდში სომხეთის დასავლეთ პროვინციას რომაელები შემოესივნენ. სავარაუდოდ, ეს იყო სომხეთის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობა, რომელშიც სავარაუდოდ, ქართლიც იყო ჩართული, როგორც რომაელთა მოკავშირე: ,,...ქართველ-სომეხთა ლაშქრის შეტაკებები ხდება მის მეზობელ რაიონებში (ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში: ჯავახეთი, არტაანი)... საქმე ეხებოდა მოკავშირეების-რომაელებისა და იბერების ერთობლივ საომარ აქციებს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:522). ამ ფაქტს ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს რომაელთა ერთ-ერთი ლეგიონის გამოჩენას ალბანეთში.[15]

დასავლეთ საქართველოში განსხვავებული იყო რომაელთა ჰეგემონობის ტაქტიკა. ზღვისპირა ქალაქებში, რომლებიც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ და შესაბამისად, ხანგრძლივი მშვიდობითა და სტაბილურობით იყვნენ დაინტერესებული, რომაელთა ძლიერი გარნიზონები იყო განლაგებული. პიტიუნტიდან აფსაროსამდე განლაგებული ეს სამხედრო შენაერთები უზრუნველყოფდნენ მშვიდობას, რაც ხელს უწყობდა ამ ქალაქების გაცხოველებულ ვაჭრობას პონტოს ისეთ აყვავებულ ქალაქებთან, როგორებიც იყო სინოპი, ამისოსი, ტრაპეზუნდი... რომი ცდილობდა საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის მიზნით თავდაცვის მაღალორგანიზებული სისტემის მეშვეობით სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გაკონტროლებას რეგიონში. ,,ამ დროიდან აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულმა სასაზღვრო-თავდაცვითმა სისტემამ. გარდა ამისა, 72 წ. კოლხეთი შეყვანილ იქნა ე.წ. „კაპადოკიურ კომპლექსში“, რომელიც შეიქმნა პროვინციების-გალატიისა და კაპადოკიის გაერთიანებით. „კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნის ძირითადი მიზანი იყო

[15] 1948 წელს ბეიუკ-დაშის მთასთან (ბაქოდან 20 კმ.) იპოვეს ლათინური წარწერა, სადაც ნათქვამია: ,,იმპერატორი დომიციანე კეისარი, ავგუსტუსი გერმანელი, ლუციუს იულიუს მაქსიმუსი მე-12 ლეგიონის ფულმინატას (ელვისებური) ცენტურიონი“(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:522).

რომის აღმოსავლური საზღვრების თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. თუმცა, ამ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს დიდხანს არ უარსებია და დომიციანეს დროს კოლხეთი კვლავ გახდა რომის პროვინციული პოლიტიკის კიდევ ერთი ცვალებადობის ობიექტი. დომიციანეს, როგორც ჩანს, შეეშინდა გაერთიანებული გალატია-კაპადოკიის პროვინციის ერთი მმართველისათვის გადაცემა და მისი ბრძანებით „კაპადოკიური კომპლექსი“ კვლავ გალატიისა და კაპადოკიის პროვინციებად დაიშალა. კოლხეთი კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი“ (ფიფია, 2012:23). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მე-12 ლეგიონის სამხრეთ კავკასიაში მოქმედების შესახებ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ლეგიონმა მოაწყო სამხედრო ექსპედიცია იმპერიის საზღვრებიდან ასე შორს, კასპიის ზღვის სანაპიროზე ყოველგვარი ზურგის დაზღვევის გარეშე. ,,უფრო სავარაუდოა, თუ ვიფიქრებთ, რომ რომაელთა ეს რაზმი მოქმედებდა უფრო დიდი ლაშქრის შემადგენლობაში, როგორც ვთქვათ ალბანეთს გალაშქრებული იბერების დამხმარე და მოკავშირე“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:523). შესაძლებელია ამ ჯარის უფრო მსხვილი შენაერთები განლაგებული ყოფილიყო კოლხეთში ან ქართლში. ,,... სულ სხვადასხვა იყო რომაელთა ლაშქრის სტატუსი კოლხეთსა და იბერიაში. კოლხეთში რომაელები ქვეყნის ბატონ-პატრონები იყვნენ [16], დამოუკიდებლ იბერიაში კი მათი ჯარი მხოლოდ იბერიის თანხმობითა და თხოვნით შეიძლება გამოჩენილიყო“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:523).

რაც შეეხება ქართლის სამეფოს, იგი მდებარეობდა სავაჭრო-სატრანზიტო გზების გზაგასაყარზე. ცენტრალური აზიიდან და ინდოეთიდან მოედინებოდა სანელებლები, სამშენებლო ძვირფასი ხე-ტყე, აბრეშუმი, ძვირფასი ქვები, რომლის სატრანზიტო დერეფანს სწორედ ქართლი წარმოადგენდა (Strabo. XI. 7.3). ის რომის იმპერიისათვის ერთგვარი სტრატეგიული მატერიკული ხიდი იყო ინდოეთიდან, ირანიდან და ზოგადად შორეული აღმოსავლეთიდან წამოსული სავაჭრო გზებისათვის. ქართლი სწორედ ამ გზებს აკონტროლებდა, ამიტომ რომისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ აქ მტრული ძალის გავლენა არ დამყარებულიყო, ვინაიდან შავი ზღვისკენ მიმავალ კარიბჭეს წარმოადგენდა. რომს არც იმპერიის მტრებთან-ალანებთან და პართიასთან ქართლის მოკავშირეობა აწყობდა, ამიტომ ამ უკანასკნელთან ,,დათბობის“ პოლიტიკას აწარმოებდა. როგორც ნ. ლომოური აღნიშნავს, ის, რომ სტრაბონი დაწვრილებით აღწერს იბერიაში შემოსასვლელ გზებს, შესაძლოა მიუთითებდეს იმ დაინტერესებაზე, ,,რომელიც რომში ამ მხრივ არსებობდა და რომელიც იბერიასთან ეკონომიკური კავშირით იყო განპირობებული (ლომოური, 1970:165). [17]

[16] პომპეუსის კავკასიური ექსპედიციის დროს (ძვ.წ. 66–65) კოლხეთმა ფაქტობრივად დაკარგა შიდა პოლიტიკური ავტონომია და გადავიდა რომის პირდაპირი სამხედრო-ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ. პომპეუსმა რეგიონი მიაკუთვნა პონტოს წინააღმდეგობის სტრატეგიულ ზონას, ხოლო ადგილობრივი სამეფო სტრუქტურები გადააქცია რომის პროკურატორული ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ ერთეულებად

[17] რომისა და ქართლის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირზე მიუთითებს არქეოლოგიური და კერძოდ, ნუმიზმატური მასალა. პირველი საუკუნიდან აქ ,,რომაული მონეტების ნამდვილი მოზღვავება იგრძნობა“. აღმოჩენილია ავგუსტუსის დენარები, აურეუსები.. ისი აღმოჩენილია ქართლის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსხვავებით კავკასიის სხვა ქვეყნებიდან. ეს კიდევ ერთხელ

ქართლის სამეფოს თვითონაც სარგებელი ჰქონდა ინდო–ირანული საქონლის ტრანზიტიდან: გზების კონტროლი, საბაჟო გადასახადები, ადგილობრივი ბაზრების გაძლიერება-ამით ადგილობრივი სამეფოები ეკონომიკურად ძლიერდებოდა, რის გამოც თვითონაც ცდილობდნენ რომთან მეგობრობის შენარჩუნებას. სავაჭრო-სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას ქართლიც მშვენივრად ირგებდა და დამოუკიდებლად ცდილობდა საგზაო ინფრასტრუქტურისა თუ ,,სადგომი სახლების-სასტუმროების" ფუნქციონირებას. ,,ამაზე ნათლად მეტყველებს უფლისციხის დიდი და მცირე კლდეკარის არსებობა" (ლორთქიფანიძე, 1968:54)[18]. ამას თან ერთვოდა ქართლის სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული ფუნქცია-ტრანზიტული გზების უსაფრთხოება რეალურად ქართლის მეფეების მიერ კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლზე იყო დამოკიდებული. აქ არასტაბილური მდგომარეობა სავაჭრო ნაკადების შეწყვეტას გამოიწვევდა. ამიტომ რომი, განსაკუთრებით I–III საუკუნეებში, ცდილობდა, რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობა შეენარჩუნებინა. ,,ვესპასიანემ საგანგებო ღონისძიებას მიმართა მცხეთის მისადგომების გასამაგრებლად, რათა ჩრდილოეთიდან მომავალი გზა მტკიცედ ყოფილიყო ჩაკეტილი ალანთა შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში" (ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023:228). შესაბამისად, ფლავიუსების დინასტიის აღმოსავლური პოლიტიკა იყო მრავალმხრივი და დინამიური, სადაც ქართლის სამეფო არამარტო მიიჩნეოდა სტრატეგიულ პარტნიორად, არამედ კავკასიის რეგიონში რომის გავლენის გასაძლიერებელ მნიშვნელოვან ფიგურად[19]. აღნიშნული პერიოდი პოზიტიურად აისახა, როგორც რომის იმპერიის გეოპოლიტიკურ გაძლიერებაზე, ისე ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივ განვითარებასა და რეგიონის სტაბილურობაზე (ბრაუნდი, 1994:327-329).

დასკვნა. ფლავიუსების დინასტიის აღმოსავლური პოლიტიკა ეფუძნებოდა სამ ძირითად პრინციპს: პირველი-ეს იყო სამხედრო ძლიერების დემონსტრირება, სამხედრო კამპანიებისა და ძალის გამოყენებით გავლენის დამყარება, განსაკუთრებით იუდეის შემთხვევაში, როდესაც ფლავიუსებმა იმპერიის სახელით აღგავეს პირისაგან მიწისა სეპარატიზმის ყველაზე ძლიერი ცენტრი-იუდეა. ეს მაგალითი უნდა ყოფილიყო ურჩებისთვის; მეორე-პროვინციების ინტეგრაცია-ყოფილი სამეფოებისა თუ ადმინისტრაციული ერთეულების ადგილობრივი ელიტების ჩართვა იმპერიის ადმინისტრაციაში და ლეგიონების გამოყენება შიდა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად; მათთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭება და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, რაც უზრუნველყოფდა ბუფერული ზონების შექმნას და იმპერიის საზღვრების დაცულობას. მესამე-ეკონომიკური და სავაჭრო

მიუთითებს იბერიის მმართველი წრეების მჭიდრო ურთიერთობაზე რომის იმპერიასთან (ლომოური, 1970:177-179).

[18] რომისა და ქართლის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირზე მიუთითებს არქეოლოგიური და კერძოდ, ნუმიზმატური მასალა. პირველი საუკუნიდან აქ ,,რომაული მონეტების ნამდვილი მოზღვავება იგრძნობა". აღმოჩენილია ავგუსტუსის დენარები, აურეუსები.. ისი აღმოჩენილია ქართლის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსხვავებით კავკასიის სხვა ქვეყნებიდან. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იბერიის მმართველი წრეების მჭიდრო ურთიერთობაზე რომის იმპერიასთან (ლომოური, 1970:177-179).

[19] ო. ლორთქიფანიძე ვრცლად მიმოიხილავს ქართლისა და რომის იმპეროოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს არქეოლოგიური და ნარატიული წყაროების დამოწმებით.

სტაბილურობა, რაც გამოიხატებოდა სავაჭრო გზების უსაფრთხოებასა და პროვინციებიდან იმპერიის ხაზინისთვის შემოსავლის შეუფერხებლად უზრუნველყოფაში. მთლიანობაში, ფლავიუსების დინასტიის მთავარი პოლიტიკური გზავნილი იყო პრაგმატიზმი, ცენტრალიზებული ძალაუფლების განმტკიცება და პროვინციების ინტეგრაცია.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს, მას რომის იმპერია განიხილავდა, როგორც აღმოსავლური საზღვრების უსაფრთხოების გარანტს. ამისთვის საფორტიფიკაციო ნაგებობის გაძლიერება, რომელიც გარკვეულ ხარჯებს მოითხოვდა, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. ქართლი კეტავდა ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელებს, საიდანაც მომთაბარე ტომების გადმოსვლის ალბათობა საკმაოდ მაღალი იყო. ქართლის მმართველების ნების შემთხვევაში, მარბიელი მომთაბარეები სიამოვნებით დალაშქრავდნენ იმპერიის მდიდარ აღმოსავლურ პროვინციებს (ეს მოგვიანებით რამდენჯერმე მოხდა). შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ინტერესი ორმხრივი იყო. ამდენად, ქართლის მეფისთვისაც რომის იმპერია აღიქმებოდა, როგორც მოკავშირე და მეგობარი, რომელსაც შეიძლება ანდო ყველაზე დიდი საიდუმლო-საფორტიფიკაციო ნაგებობის-ქალაქის გალავნის გამაგრება. ამავე დროს, რომის ინტერესი ქართლის სამეფოს მიმართ განპირობებული იყო მისი სტრატეგიული მდებარეობით სომხეთსა და პართიას შორის ძალთა მუდმივ დაპირისპირებაში. იბერია რომისთვის წარმოადგენდა ბუფერულ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკური ორიენტაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სომხეთის რეგიონზე, სადაც რომისა და პართიის მეტოქეობა ყველაზე მკვეთრად გამოიხატებოდა. რომი ქართლის სამეფოს იყენებდა პართიის გავლენის შეკავებისთვის და სომხეთში საკუთარი დინასტიური ინტერესების დასამყარებლად. ქართლის სამეფო უზრუნველყოფდა რომისათვის აუცილებელ სტრატეგიულ კორიდორს შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით. სწორედ ამ ვითარებაში ქართლის მეფეთა ლოიალობა რომს აძლევდა საშუალებას დაებალანსებინა პართიის ექსპანსია და დაემყარებინა გავლენა სამხრეთ კავკასიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, ა. (1982). *,,ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა (უძველესი დროიდან მე-12 საუკუნის დასაწყისამდე).* თბილისი.

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი. (2014). *კეისართა ცხოვრება.* თბილისი.

გამყრელიძე, ალ. (1973). *ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ.* თბილისი.

დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. (1966). თბილისი: ,,მეცნიერება“

ბრაუნდი, დევიდ. (2014). *საქართველო ანტიკურ ხანაში კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ.წ. 550-ახ.წ. 562 წლებში.* ბათუმი.

გამყრელიძე, გ. თოდუა, თ. (2006). *რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში.* თსუ. თბილისი.

მოვსეს ხორენაცი. (1984). *სომხეთის ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი.

ლომოური, ნ. (1970). იბერიისა (ქართლის) და რომის სავაჭრო ურთიერთობების საკითხისათვის. *ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული III).* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ო. (1968). *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია).* თბილისი.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

წერეთელი, გ. (1958). *მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა,* საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

ყაუხჩიშვილი, თ. (2000). *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი,* ტ. 2, აღმოსავლეთი საქართველო. თბილისი.

ფიფია, ნ., ობახიძე, ე., დუნდუა, თ. (2023). *ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო,* თბილისი.

ფიფია, კ. (2012). *რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული „სამეფოების“ წარმოქმნა კოლხეთში ახ.წ. II ს.* თბ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. (1970). თბილისი.

Goodman, M. (2007). *Rome and Jerusalem: The Clash of Ancient Civilizations*. London.

Levick, B. (1999). *Vespasian*. London.

Евреи в Римской Империи в эпоху Талмуда. (1999). Тель-Авив.

Федерова, Е.В. (1990). *Люди императорского Рима*, Москва.

Мэри Бирд. (2021). *История древнего Рима.* Москва.

REFERENCES

abdaladze, a. (1982). ,,kartlis tskhovreba“ da sakartvelo-somkhetis urtiertoba (udzvelesi droidan me-12 sauk'unis dasats'qisamde). tbilisi.

gaius svet'onius t'rank'viliusi. (2014). k'eisarta tskhovreba. tbilisi.

gamqrelidze, al. (1973). t'atsit'usis tsnobebi sakartvelos shesakheb. tbilisi.

dion k'asiosis tsnobebi sakartvelos shesakheb. (1966). tbilisi: ,,metsniereba“

braundi, devid. (2014). sakartvelo ant'ik'ur khanashi k'olkhetisa da amierk'avk'asiis iberiis ist'oria dzv.ts'. 550-akh.ts'. 562 ts'lebshi. batumi.

gamqrelidze, g. todua, t. (2006). romis samkhedro-p'olit'ik'uri eksp'ansia sakartveloshi. tsu. tbilisi.

movses khorenatsi. (1984). somkhetis ist'oria. dzveli somkhuridan targmna, shesavali da shenishvnebi daurto a. abdaladzem. tbilisi.

lomouri, n. (1970). iberiisa (kartlis) da romis savach'ro urtiertobebis sak'itkhisatvis. dzveli ist'oriis sak'itkhebi (k'avk'asiur-akhloaghmosavluri k'rebuli III). tbilisi.

lortkipanidze, o. (1968). ant'ik'uri samqaro da kartlis samepo (iberia). tbilisi.

kartlis tskhovreba. (1955). t'. I, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tbilisi.

ts'ereteli, g. (1958). mtskhetis berdznuli ts'arts'era vesp'asianes khanisa, sak. ssr metsnierebata ak'ademia. tbilisi.

qaukhchishvili, t. (2000). sakartvelos berdznuli ts'arts'erebis k'orp'usi, t'. 2, aghmosavleti sakartvelo. tbilisi.

pipia, n., obakhidze, e., dundua, t. (2023). ant'ik'uri khanis berdznul-latinuri ts'arts'erebi, rogorts sakartvelos ist'oriis ts'qaro, tbilisi.

pipia, k'. (2012). romis aghmosavluri p'olit'ik'a da tsalk'euli „samepoebis“ ts'armokmna k'olkhetshi akh.ts'. II s. tb.

sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'. 1. (1970). tbilisi.

Goodman, M. (2007). *Rome and Jerusalem: The Clash of Ancient Civilizations*. London.

Levick, B. (1999). *Vespasian*. London.

Evrei v Rimskoj Imperii v jepohu Talmuda. (1999). Tel'-Aviv.

Federova, E.V. (1990). *Ljudi imperatorskogo Rima*. Moskva.

Mjeri Bird. (2021). *Istorija drevnego Rima*. Moskva.